Лишь в двух случаях — при поликонденсации бис-пентахлорфенил- и бис-пентафторфенил-изофталатов с ГМДА введение ТЭА оказывает существенное влияние на η_{sp} синтезируемых полиамидов. При синтезе полиуретанов и алифатических полиамидов эффект ТЭА отсутствует независимо от природы уходящей группы (т. е. выделяющегося фенола) и использованного растворителя.







В тех немногочисленных случаях, когда эффект ТЭА проявляется, был обнаружен любопытный факт — полученные результаты зависят

* Данный вопрос является предметом отдельного сообщения.



Влияние ТЭА на вязкость полиамидов и полиуретанов, полученных взаимодействием ГМДА с активированными диэфирами дикарбоновых кислот и активированными бис-карбонатами пропандиола — 1,3

XCORCOX		Реакционная среда (с. моль/л) ³	Температура, °С (время, ч)	Количество ТЭА в молях на моль ГМДА	η ²⁵ , дл/г при			Растворитель для определения η ^{пр} (с=0,5 г/дл)
R=	X→				Без ТЭА	ТЭА в 1/10 моль ТЭА до реакции	ТЭА после реакции	
1	2	3	4	5	6	7	8	9
П о л и а м и д ы								
		ГМФА (0,5)	30° (5)	2,0	0,48	0,46	0,45	
		То же	30° (6)	2,0	1,42	1,38	1,33	
		"	30° (6)	2,0	0,51	0,52	0,57	ГМФА
		"	30° (6)	2,0	0,48	0,46	0,49	
		"	30° (6)	2,0	0,63	0,65	0,64	
		"	30° (6)	2,0	0,31	0,56	0,96	
		"	30° (6)	2,0	0,98	0,90	1,80	
		"	10° (10—12)	2,0	0,53	0,50	—	
$-(CH_2)_4-$		ГМФА (0,3) 1,2-дихлорэтан (0,3)	30° (24) 30° (24)	2,0 2,0	1,02 0,86	0,98 0,88	1,02 —	смесь тетрoхлорэтан:

1	2	3	4	5	6	7	8	
$-(CH_2)_4-$		ГМФА (0,3)	30° (24)	2,0	0,54	0,56	0,53	фенол (3:1)
		ГМФА (0,3) 1,2-дихлорэтан (0,3) Диоксан (0,3)	30° (24) 30° (24) 30° (24)	2,0 2,0 2,0	0,87 0,81 0,79	0,85 0,80 0,81	0,85 0,78 0,85	
П о л и у р е т а н ы								
$-O(CH_2)_6O-$		ДМФА (0,6)	30° (0,5) 110° (2,5)	2,2	1,4	1,2	—	m-Крезол
		То же	30° (0,5) 110° (2,5)	2,2	0,75	0,75	—	
		"	30° (0,5) 110° (2,5)	2,2	0,61	0,85	—	
		"	30° (0,5) 110° (2,5)	2,2	0,66	0,75	—	

*) Концентрация раствора по одному из мономеров.

**) Реакцию вначале проводили при 90° до гомогенизации раствора, затем охлаждали до 30°, вводили ТЭА и реакцию продолжали при этой температуре.

***) Поликонденсация активированных адипиатов с ГМДА протекает гетерогенно независимо от природы растворителя. В остальных случаях реакция протекает гомогенно.

от способа введения ТЭА. Если ТЭА добавляли в начале реакции, то это практически не сказывалось на результатах (табл. 1). Значительное увеличение вязкости наблюдалось при введении ТЭА «после реакции», т. е. на начальной стадии поликонденсации проводили без акцептора и лишь после достижения предельного значения вязкости реакционного раствора вводили ТЭА.

Подобное же явление было обнаружено и при изучении кинетики роста вязкости при поликонденсации активированных изофталатов с ГМДА (рис. 1). После достижения (без акцептора) предельных значений вязкости реакционного раствора к нему добавляли 2 моля (из расчета на моль исходного диамина) ТЭА (в точках «А» и «Б»; в точках «В» добавляли еще 2 моля ТЭА). При этом наблюдается закономерное падение вязкости раствора за счет разбавления. Дальнейшее поведение системы зависит от природы уходящих групп (выделяющихся фенолов) — в случае среднекислых фенолов (о-нитрофенол, п-нитрофенол, 2,4,6-трихлорфенол) вязкость раствора во времени остается без изменений, что свидетельствует об отсутствии дальнейшего роста цепи. В случае же более кислых фенолов (пентахлорфенол, пентафторфенол) наблюдается ощутимый рост вязкости реакционного раствора, кото-



рый со временем достигает более высокого предельного значения. Примечательно, что при выделении наиболее кислых 2,4- и 2,6-динитрофенолов эффект весьма слаб или же отсутствует вовсе.

Особо чувствительна к ТЭА поликонденсационная система биспентафторфенилизофталат+ГМДА: в этом случае наблюдается дальнейшее возрастание вязкости при введении дополнительных количеств




Рис. 1. Кинетика роста вязкости реакционного раствора при поликонденсации ГМДА в среде ГМФА при 30°: с активированными бис-фенилизофталатами: 1—2,4,6-трихлор-2—2,6—динитро—; 3—o-нитро—; 4—2,4-динитро—; 5—пентахлор—; 6—p-нитро—; 7—пентафтор—; Точка „А“ соответствует моменту гомогенизации раствора при поликонденсации бис-пентахлорфенилизофталата с гексаметилендиамином при 90°

ТЭА (В точках «Б», «В» (при 30°С) и «Г» (при 70°) вводили по 2 моля ТЭА на моль исходного диамина. В точке «Д» раствор разбавляли ГМФА-ом в два раза (без учета объема ТЭА), Параллельное возрастание молекулярной массы полиамида (табл. 2) свидетельствует, что рост вязкости реакционного раствора не связан с другими явлениями, например, с изменением гидродинамических параметров макро-

Т а б л и ц а 2

Молекулярно-массовые характеристики полигексаметиленизофталамида на разных стадиях поликонденсации бис-пентафторфенилизофталата с ГМДА

Образец полиамида, отобранный на разных стадиях поликонденсации (см. рис. 2)*	$[\eta]_{\text{H}_2\text{SO}_4}$, дл/г	M_n^{**}	$[\eta]_{\text{ГФФИП}}$, дл/г	M_w^{***}	$\eta_{\text{пр}}'$ ГМФА
В точке „Б„	0,55	13800	1,30	36000	,90
В точке „В„	1,70	57500	1,90	48000	1,80
В точке „Г„	1,80	63100	2,50	71000	
В точке „Д„	2,02	72400	2,78	80000	
В точке „Е„	2,05	74100	3,20	96000	3,0

* В указанных точках пробу отбирали до введения очередной порции ТЭА или ГМФА.

** M_n определяли по уравнению $[\eta]_{\text{H}_2\text{SO}_4} = 3,24 \cdot 10^{-4} \cdot M_n^{0,78} [10]$.

*** Значения M_w определены в гексафторизопропанол, $[\eta]_{\text{ГФФИП}} = 1,5 \cdot 10^{-4} \cdot M_w^{0,87}$

молекул за счет комплексования с ТЭА или пентафторфенолом, и зван именно ростом молекулярной массы полиамида.

В точке «Д» густой реакционный раствор разбавляли в два раза ГМФА-ом, после чего вновь наблюдается некоторый рост вязкости раствора, а молекулярная масса полиамида повышается от 80 тыс до 96 тыс (табл. 2).

Интересно отметить, что рост молекулярной массы полиамида наблюдается после введения ТЭА спустя более двух недель от начала реакции, что помимо прочего свидетельствует о высокой стабильности концевых пентафторфениловых сложноэфирных группировок в среде ГМФА и согласуется с данными исследования модельных процессов




Рис. 2. Изменение вязкости реакционного раствора при поликонденсации бис-пентафторфенилизофталата с ГМДА в среде ГМФА (концентрация раствора 0,6 моль/л по каждому мономеру). Точка «В» соответствует предельному значению вязкости реакционного раствора, достигаемому через 2–2,5 ч (реакция без ТЭА)

[11]. Таким образом, в данном случае имеем дело с редко встречающейся «живой» поликонденсационной системой. Полиамид, полученный взаимодействием бис-пентафторфенилизофталата с ГМДА, имеет наибольшее значение вязкости среди образцов, полученных через активированные изофталаты (η_{sp} образца в точке «Е» 3,0 дл/г (в ГМФА)), что наряду с вышеизложенным, свидетельствует о низкой склонности пентафторфениловой эфирной группы к побочным реакциям, в том числе реакции нуклеофильного замещения [12], которая, вероятнее всего, препятствует проявлению «эффекта ТЭА» в случае 2,4- и 2,6-динитрофенилизофталатов.

Наблюдаемая необычная зависимость молекулярной массы гексаметиленизофталамида от способа введения ТЭА, по всей видимости, связана с полимерной природой образующегося продукта и проявляется при достижении определенных молекулярных масс полиамида. Для выяснения этого вопроса необходимы дополнительные исследования.

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ ЧАСТЬ

ГМДА и ТЭА очищали по общепринятым методикам.

ГМФА очищали вакуум-перегонкой над P_2O_5 , затем над бис-2,4-динитрофенилдииминатом и, под конец, над CaH_2 и хранили под аргоном.

Синтез активированных диэфиров и полиамидов на их основе осуществляли как описано в работах [13, 14]. Синтез активированных



ბის-კარბონათ დიოლთა და პოლიურეთანთა ნა იხ ოსოვე ოსუშვქვლილი ოს
 გლასო რაბოთე [15]. დია იზუქვია კინეტიკი პოლიამიდირაია (რასა
 ვიკოსი რეაქციონიო რასოვრა) რეაქციო რვოდილი ვ კოლბე, სნაბ-
 ჯენიო ვისკოზიმეტრომ. რივდენიო ვიკოსი პოლიმეროვ ორდელაილი
 რი 25° დ კონცენტრაციი 0,5 გ/დლ.

მოლეკულარნი მასა (M_n) ობრაძოვ პოლიგესამეთილენიზოფთალ-
 ამიდა ორდელენი ვ სრე გესაფორიზოპროპანა მეთოდო არჩიბალდა.

პოლზუასა სლუქაემ, ავტორო ვერაჟაოთ ბლადარნიოსთ კ. ხ. ნ. გ. ი. ტი-
 მოფეევი (ინეოს რან) ჯა ორდელენი მოლეკულარნი მასე პოლიმეროვ.

ინსტიტუთ მოლეკულარნი ბიოლოგი
 დ ბიოფიზიკი ან გრუჯინ

როსუქილი 11.06.1991.

რ. კაცარავა, დ. ხარაძე, თ. კართველიშვილი, ჯ. გომურაშვილი

ტრიეთილამინის როლი აქტივირებაულ პოლიკონდენსაციაში

რეზიუმე

შესწავლილია პოლიკონდენსაციის პროცესის მსვლელობაზე გეავას აქ-
 ცეპტორის — მესამეული ამინის, კონკრეტულად კი ტრიეთილამინის გავლენა
 ჰექსამეთილენდიამინის საფუძველზე მიღებული პოლიამიდებისა და პოლიურე-
 თანების სინთეზის რეაქციაზე. ნაჩვენებია, რომ უმეტეს შემთხვევაში ტრი-
 ეთილამინი შესამჩნევ გავლენას არ ახდენს აქტივირებული პოლიკონდენსა-
 ციის შედეგებზე, მხოლოდ ორ შემთხვევაში — ჰექსამეთილენდიამინის პოლი-
 კონდენსაციისას ბის-პენტაქლორფენილ-იზოფტალატთან, ანდა ბის-პენტა-
 ფტორფენილიზოფტალატთან ტრიეთილამინი იწვევს პოლიამიდის მოლეკულუ-
 რი მასის ზრდას, განსაკუთრებით ეფექტურად მეორე ეთერის შემთხვევაში
 დადგენილია, რომ ტრიეთილამინის გავლენა პოლიკონდენსაციის პროცესზე და-
 მოკიდებულია სისტემაში მისი შეყვანის წესზე და ეფექტს იძლევა მხოლოდ
 პრეპოლიმერის წარმოქმნის შემდეგ.

R. D. KATSARAVA, D. P. KHARADZE, T. M. KARTVELISHVILI,
 Z. D. GOMURASHVILI

THE ROLE OF TERTIARY AMINE IN ACTIVE POLYCONDENSATION

Summary

The role of acid acceptor — tertiary amine in the active polycondensa-
 tion has been studied. In particular the influence of triethylamine on the
 synthesis of polyamides and polyurethanes based on hexamethylenediamine has
 been investigated. It is shown that in most cases triethylamine does not
 affect the results of active polycondensation. It's only in two cases — at
 polycondensation of hexamethylenediamine with bis-pentachlorophenylisoph-
 thalate or with bis-pentafluorophenylisophthalate, triethylamine leads to the
 increase of molecular mass of polyamides, especially in case of the last
 diester. It was established, that the influence of triethylamine depends on
 the mode of its introduction into reaction mixture and is observed only after
 prepolymer is formed.

1. Морган П. У. Поликонденсационные процессы синтеза полимеров. Л.: Химия, 1970, 448.
2. Коршак В. В., Виноградова С. В. Неравновесная поликонденсация. М.: Наука, 1972, 696.
3. Соколов Л. Б. Основы синтеза полимеров методом поликонденсации. М.: Химия, 1979, 265.
4. Korshak V. V., Vinogradova S. V., Vygodskii Ya. S., Nagiev Z. M., Urmann Ya. G., Alekseeva S. G., Slonim I. Ya. Makromolek. Chem., 1983, 184, 235.
5. Taft R. W., Gurka D., Joris L., Schleyer P. von R., Rakhys J. W. J. Amer. Chem. Soc., 1969, 91, 4801.
6. Madic C., Tremillon B. Buill. Soc. Chim. France, 1968, 4, 1734.
7. Кацарава Р. Д. ВМС, 1989, А 31, 1555.
8. Кацарава Р. Д., Харадзе Д. П., Авалишвили Л. М., Заалишвили М. М. ВМС, 1984, А 26, 1489.
9. Кацарава Р. Д., Харадзе Д. П., Авалишвили Л. М., Заалишвили М. М. ВМС, 1984, А 26, 1959.
10. Neilinger W., Brassat B., Neurauf E. Angew. Makromolek. Chem., 1981, 98, 225.
11. Кацарава Р. Д., Харадзе Д. П. Журн. общ. химии, 1992, 61, 11, 2413.
12. Кацарава Р. Д., Харадзе Д. П., Авалишвили Л. М., Картвелишвили Т. М., ВМС, 1986, Б 28, 443.
13. Katsarava R. D., Kharadze D. P., Avalishvili L. M. Chimia Stosowana (Polish. J. Appl. Chem.), 1986, 30, 187.
14. Katsarava R. D., Kharadze D. P., Avalishvili L. M. Makromolek. Chem. Rapid Commun., 1984, 5, 585.
15. Кацарава Р. Д., Картвелишвили Т. М., Харадзе Д. П., Заалишвили М. М., Пацурия М. М. ВМС, 1987, А 29, 2069.

შპს 661.8.097.332

გ. ჩივაძე, მ. ჩივაძე, ც. ნასყიფაშვილი

ციტრონელალის ჰიდრირება ციტრონელოლში დაფენილ კატალიზატორებზე

ორმაგი ბმების შემცველი აციკლური ალდეჰიდები ციტრალი და ციტრონელალი მრავალ ეთერზეთებში შემავალი კომპონენტებია. ისინი საკმარისი რაოდენობით არის წარმოდგენილი ლიმონის, გერანის, ევკალიპტის, ვარდის და სხვა მცენარეებიდან მიღებულ ეთერზეთებში. დამუშავებულია აგრეთვე ქიმიური სინთეზის მეთოდი ციტრონელალის მისაღებად. უფრო მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენს მათი ჰიდრირებით მიღებული ნერთი — ციტრონელოლი, რომელიც ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში, მედიცინაში და კვების მრეწველობაში. ამიტომ ამ პროცესის შესწავლა მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისით. გარდა ამისა ლიტერატურაში არასაკმარისი მონაცემებია ციტრონელალის ჰიდრირებისა დაფენილ კატალიზატორებზე.

საქართველოს ბუნებრივ ალუმოსილიკატებზე დაფენილი მეტალური კატალიზატორები ჩვენს მიერ შესწავლილი იყო თხევადი მცენარეული ზეთების ჰიდრირების რეაქციაში [1,2], ამიტომ საინტერესო იყო მათი გამოკვლევა ციტრონელალის ჰიდრირების პროცესში, რადგან ციტრონელალი ისევე როგორც თხევადი ცხიმები შეიცავენ ორმაგ ბმებს.

წარმოდგენილ შრომაში შესწავლილია სხვადასხვა ლითონებისა და კატალიზატორის სარჩულების, გამხსნელების, თანაკატალიზატორების ბუნების გავლენა ციტრონელალის ჰიდრირების პროცესზე და გამოთქმულია გარკვეული მოსაზრებანი აღნიშნული რეაქციის მიმდინარეობაზე.

ციტრონელალის ჰიდრირება ტარდებოდა ატმოსფერული წნევის ქვეშ. თერმოსტატირებული მინის რეაქტორში მაგნიტური სარკველას გამოყენებით. კატალიზატორები მზადდებოდა საქართველოს სხვადასხვა ბუნებრივი ალუმოსილიკატების — გუმბრინის, ასკანთიხის, ახალციხის დიატომიტისა და ხეკორძულას საბადოს კლინობტილოლითის საფუძველზე შესაბამისი მარილებიდან. კატალიზატორების ნიმუშები შრებოდა 120°-ზე 6 საათის განმავლობაში ჰაერის ნაკადში, შემდეგი 10 საათის 350°-ზე, ხოლო წყალბადის არეში აღდგებოდა 350° 12 საათის განმავლობაში.

აღდგენილი ნიმუშების გადასატანად სარეაქციო არეში ხდებოდა მათი პასივირება ჰაერისა და აზოტის ნაკადში 5 საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. ყოველი ცდისათვის კატალიზატორის რაოდენობა შეადგენდა 0,5 გ, რომელიც იტირებოდა სარეაქციო ჭურჭელში და ცდის დაწყების წინ 3 საათის განმავლობაში აღდგებოდა წყალბადის არეში.

ჰიდრირებისათვის საჭირო ქარხნული პროდუქტი — ციტრონელალი სამჯერადად მუშავდებოდა, ხოლო შემდეგ იხდებოდა 104° 28 მმ წნევის ქვეშ და მიიღებოდა ციტრინელალი ქრომატოგრაფიული სისუფთავით 98%.

რეაქციის პროდუქტების იდენტიფიკაცია ტარდებოდა ქრომ-5 მარკის ქრომატოგრაფზე, სვეტის სიგრძე 4 მმ, დიამეტრით 4 მმ, რომელშიც ჩატვირთული იყო ქრომატონი N-AW მარცვლების ზომით 0,250—0,315 მმ დაფენილი 15% SE-30-ით, ანალიზის ტემპერატურა 170°. წინასწარ შესწავლილი იყო სპირტხსნარში ციტრონელალის საწყისი კონცენტრაციის ცვლილების გავლენა რეაქციის სიჩქარეზე 0,25; 0,5; 0,75 და 1,0 მოლ/ლ, მიღებულმა შედეგებმა

გვიჩვენა, რომ რეაქციის სიჩქარე არ არის დამოკიდებული საწყისი ნივთიერების კონცენტრაციაზე ხსნარში, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ რეაქციის სიჩქარე ნაერთის მიმართ მდის ნულოვანი რიგით ან მასთან ახლოს. რეაქციის სიჩქარე ისაზღვრებოდა წყალბადის მოცულობის ცვლილებით დროის ერთეულში (მომენტში როდესაც თეორიულად გამოთვლილი წყალბადის ნახევარი შთაინთქმებოდა $\tau/2$) კატალიზატორის მასის ერთეულზე.





სხვადასხვა კატალიზატორებზე ციტრონელალის (I) ჰიდრირების შედეგები მოტანილია ცხრ. 1. როგორც ცხრილიდან ჩანს პლატინის კატალიზატორზე თითქმის თანაბარი რაოდენობით წარმოიქმნება ციტრონელოლი (II) და 3,7-დიმეთილოქტანალი (III), რომელიც შემდეგი სქემით მიმდინარეობს:

ც ხ რ ი ლ ი 1

ციტრონელალის ჰიდრირება ციტრონელოლიში სხვადასხვა კატალიზატორებზე.
 რეაქციის ტემპერატურა 70°, ცდის ხანგრძლივობა 2 საათი. ხსნარში ციტრონელალის კონც. 0,8 მოლ/ლ ეთანოლში

კატალიზატორის დასახელება, ლოთონის შემცველობა, მას. %	კატალიზატორის შედეგნილობა, მას. %			
	ციტრონელალი	ციტრონელოლი	3,7-დიმეთილოქტანალი	3,7-დიმეთილოქტანალი
Pt/გუმ. (0,5)	68,5	12,5	7,8	12,2
Pd/გუმ. (0,5)	66,4	3,1	—	29,5
Ni/გუმ. (6,0)	58,9	17,4	28,5	15,2
Ni/ასკ. (6,0)	57,3	16,9	8,8	17,0
პი/დიატ. (6,0)	58,1	11,3	5,9	14,7
Ni/კონობ. (6,0)	74,7	8,7	5,4	11,2
Ni—Cu/გუმ. (6,0; 2,0)	66,2	12,8	10,3	10,7
Ni—Cr/გუმ. (6,0; 2,0)	74,2	10,5	7,1	8,2

თერმოდინამიურად უფრო მოსალოდნელი იყო პირველ რიგში დაპიდრირებულიყო ციტრონელალში არსებული კარბონილური ჯგუფი, ხოლო შემდეგ იზოლირებული ორმაგი ბმა, რომელიც პრაქტიკულად ლოკალიზებულია, მაგ-



რამ კატალიზატორის არსებობის შემთხვევაში მისი ბუნებიდან გამომდინარე ეს შეხედულებები იცვლება. პალადიუმის შემცველი კატალიზატორის დროს



დიდი რაოდენობით 29,5% მიიღება 3,7-დიმეთილოქტანალი, ხოლო უმცირეს რაოდენობით 3,1% ციტრონელოლი. თუ შევადარებთ პლატინისა და პალადიუმის შემცველ კატალიზატორებს, პირველის შემთხვევაში წარმოიქმნება 7,8% 3,7-დიმეთილოქტანოლი (IV), ხოლო მეორე კატალიზატორზე იგი პრაქტიკულად არ მიიღება. რაც შეეხება ნიკელის შემცველ დაფენილ კატალიზატორებს გუმბრინზე და ასკანთისაზე მათ თითქმის ერთნაირი აქტივობა ახასიათებთ, შესაბამისად ციტრონელოლის რაოდენობა 17,4 და 16,9%-ს შეადგენს. შედარებით ნაკლები აქტივობით ხასიათდებიან ნიკელით დაფენილი დიატომიტზე და კლინოპტილოლითზე, რაც ალბათ განპირობებულია მათი ზვედრითი ზედაპირისა და ფორიანობის სიმცირის გამო.

ლიტერატურიდან ცნობილია [3], რომ სპილენძისა და ქრომის შემცველ კატალიზატორზე 40 ატ წყალბადის წნევის ქვეშ მიმდინარეობს ციტრალისა და ციტრონელალის ნარევის ჰიდრირება ციტრონელოლში, მართალია არა მაღალი ხარისხით.

ჩვენს შემთხვევაში სპილენძისა და ქრომის მცირე დანამატები ნიკელის შემცველ კატალიზატორში დაბლა სწევენ აქტივობას, რაც შესაძლებელია გამოწვეულია იმით, რომ ამ რეაქციისათვის საჭირო ნიკელის აქტიურ ცენტრებს ფარავენ ან ხელს უშლიან ნაკლებაქტიური სპილენძი და ქრომი, რათა გარდასაქმნელი ნივთიერება ადვილად მივიდეს აქტიურ ცენტრებთან.

საინტერესო იყო შეგვესწავლა სხვადასხვა აგებულების სპირტების გავლენა ციტრონელალის ჰიდრირების პროცესზე. ამ მიზნისათვის შევარჩიეთ ყველაზე უფრო აქტიური Ni/გუმბრინის კატალიზატორი (ცხ. 2). როგორც მონაცემებიდან ჩანს ნორმალური აგებულების სპირტების შემთხვევაში მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად მცირდება ციტრონელოლის რაოდენობა 18,2-დან 12,2%-მდე, ხოლო იზო-აგებულების სპირტების გამოყენებისას უფრო უკეთესად მიდის რეაქცია, ამიტომ შემდგომი კვლევებისათვის გამხსნელად გამოვიყენეთ იზო-პროპანოლი.

ცხრილი 2

ციტრონელალის ჰიდრირება ციტრონელოლში სხვადასხვა გამხსნელებში Ni/გუმ კატალიზატორზე. რეაქციის ტემპერატურა 80° ცელს ხანგრძლივობა 2 ს. ხსნარში ციტრონელალის კონც. 0,8 მოლ/ლ

გამხსნელის დასახელება	კატალიზატორის შედეგნილობა, მას. %			
	ციტრონელალი	ციტრონელოლი	3,7-დიმეთილოქტანოლი	3,7-დიმეთილოქტანალი
ეთანოლი	57,7	19,9	7,0	15,4
ნ.—პროპანოლი	59,6	15,3	9,1	16,0
ნ.—ბუთანოლი	62,4	13,7	6,3	17,6
ნ.—პენტანოლი	58,4	12,2	10,0	19,5
იზო-პროპანოლი	57,8	22,6	6,9	13,7
იზო-ბუთანოლი	56,8	17,9	9,0	16,7

აღნიშნულ ფაქტს კარგად ხსნის შრომაში [4] მოტანილი მონაცემები, სადაც დადგენილია, რომ ნორმალური ნაჯერი სპირტების ნახშირბადის ჯაჭვის ზრდასთან ერთად მცირდება ნაერთის ქემოსორბცია. ავტორები [5] თვლიან, რომ ადსორბციის ცვლილება სპირტებში ნახშირბადის ჯაჭვის ზრდასთან ერთად ძირითადად დამოკიდებულია სტერიული ფაქტორის ცვლილებით და ფიზიკური ბლოკირების მატებით ზედაპირზე, მოლეკულის იმ ნაწილით, რომელიც არ იღებს მონაწილეობას ადსორბციულ პროცესში და ამასთან ხელს უშლის გარდასაქმნელი მოლეკულის ადსორბციას. გრძელი ჯაჭვის სპირტით ბლოკირებისას შესაძლებელია გაიზარდოს კატალიზატორის ზედაპირის ჰიდროფობობა. ამის გამო უფრო ადვილდება მოლეკულის ნახშირწყალბადოვანი



ნაწილის ადსორბცია, ხოლო შესაბამისად მცირდება კარბონილური ჯგუფების ადსორბცია და ჰიდრირება. რის გამოც კატალიზატში მეტი რაოდენობით მოქმედებს 3,7-დიმეთილოქტანალი (ცხ. 2).

როგორც ცნობილია ალდეგნის რეაქციაზე გარკვეულ დადებით გავლენას ახდენენ თანაკატალიზატორები (დანამატები), რომლებმაც შეიძლება შეამცირონ იზოლირებული ორმაგი ბმების ჰიდრირება [6,7]. ამიტომ საინტერესო იყო შეგვესწავლა სხვადასხვა დანამატები ჩვენს შემთხვევაში. ამ მიზნით შესწავლილი იყო შემდეგი დანამატები: Na_2CO_3 , K_2CO_3 , NaCl , KOH , $\text{C}_2\text{H}_5\text{ONa}$. როგორც ცხრ. 3 ჩანს, ჩვენს შემთხვევაში თანაკატალიზატორის ოპტიმალური რაოდენობა შეადგენს 10 მმოლ/გ კატალიზატორის აქტიურ კომპონენტზე. კარბონატების შემთხვევაში ნატრიუმიდან კალიუმზე გადასვლის დროს მატულობს ნახევარ გარდაქმნის რეაქციის სიჩქარე $\pi/2$ და კატალიზატში ციტრონელის რაოდენობა. რაც შეეხება NaCl მონაწილეობით ეფექტი მცირდება; ხოლო KOH და $\text{C}_2\text{H}_5\text{ONa}$ შემთხვევაში რეაქცია გაცილებით კარგად მიდის. გამოყენებული თანაკატალიზატორები შეიძლება შემდეგ რიგში განვალაგოთ: $\text{NaCl} < \text{Na}_2\text{CO}_3 < \text{K}_2\text{CO}_3 < \text{KOH} < \text{C}_2\text{H}_5\text{ONa}$.

ცხრილი 3

ციტრონელის ჰიდრირება ციტრონელოში სხვადასხვა დანამატების გამოყენებისას, Ni /გუმ. კატალიზატორზე. რეაქციის ტემპერატურა 80⁰, ხსნარში ციტრონელის კონცენტრაცია 0,8 მოლ/ლ იზოპროპანოლში

დანამატების დასახელება	დანამატის რაოდენობა მმოლ/გ კატალიზატორზე	კატალიზატის შედეგილობა, მას. %			
		ციტრონელი	ციტრონელი	3,7 - დიმეთილოქტანალი	3,7 - დიმეთილქტანალი
Na_2CO_3	—	56,8	22,6	6,9	13,7
	5,0	49,5	36,7	4,8	9,0
	10,0	47,3	40,8	4,0	7,9
	20,0	46,3	39,6	6,1	8,0
K_2CO_3	5,0	46,6	39,9	5,0	8,5
	10,0	41,6	45,0	6,3	6,5
	20,0	45,0	42,4	6,0	6,6
NaCl	5,0	54,8	29,0	7,0	9,2
	10,0	52,4	31,8	7,3	8,5
	20,0	52,0	29,6	8,0	10,4
KOH	5,0	45,3	40,7	6,0	8,0
	10,0	40,2	46,6	5,3	7,9
	20,0	41,9	43,3	6,8	8,0
$\text{C}_2\text{H}_5\text{ONa}$	5,0	45,4	42,8	5,0	6,8
	10,0	36,2	52,8	5,0	6,0
	20,0	40,2	46,6	5,4	5,8

აღნიშნული თანაკატალიზატორების მოქმედება ციტრონელოლის რაოდენობის ზრდაზე პროდუქტში შეიძლება განპირობებულ იქნას სხვადასხვა მოსაზრებებით: პირველი შესაძლებელია აღებული ნაერთი ადსორბირდეს კატალიზატორის ზედაპირზე ისეთნაირად, რომ ხელი შეუშალოს იზოლირებული ორმაგი ბმის ჰიდრირებას ციტრონელის მოლეკულაში, მეორე შეცვალოს მორეაგირე კომპონენტების ადსორბციის ხასიათი და წყალბადის ფორმები და მათი ბმის ენერგია კატალიზატორის ზედაპირთან.

შესწავლილია აგრეთვე ცდის ხანგრძლივობის გავლენა ჰიდრირების ხარისხზე. ნაჩვენებია (ცხრ. 4), რომ დროის გაზრდა 30 წუთიდან 120 წუთამდე




დადებითად მოქმედების ციტრონელოლის მატებაზე, მისი რაოდენობა იზრდება 30,8-დან 52,8%-მდე. დროის შემდგომი გაზრდა თითქმის აღარ გავლენას იწვევს ციტრონელოლის რაოდენობაზე. რეაქციის ხანგრძლივობის

ცხრილი 4

ცდის ხანგრძლივობის გავლენა ციტრონელალის ჰიდრირებაზე ციტრონელოლში Ni/გუმ. კატალიზატორზე. ცდის ტემპერატურა 80⁰, თანაკატალიზატორის რაოდენობა 10 მმოლ/გ, გამხსნელი იზოპროპანოლი

ცდის ხანგრძლივობა, წთ	კატალიზატორის შედეგილობა, მას./%			
	ციტრონელოლი	ციტრონელი	3,7 - დიმეთილოქტანოლი	3,7 - დიმეთილოქტანალი
30	61,8	30,8	3,2	4,2
60	47,8	43,6	3,2	5,4
90	40,5	48,2	4,8	6,5
120	36,2	52,8	5,0	6,0
150	27,9	51,7	9,6	10,8
180	24,8	49,0	14,7	12,5
210	19,9	47,2	18,1	14,8

მომატების დროს 120 წუთიდან 210 წუთამდე უფრო ღრმად ჰიდრირდება იზოლირებული ორმაგი ბმები და კატალიზატორში მატულობს 3,7-დიმეთილოქტანოლი და 3,7-დიმეთილოქტანალის ჯამური რაოდენობა 11,0-დან 32,9%-მდე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს რეაქციის სელექტიურობას.



ნახ. 1. რეაქციის ტემპერატურის გავლენა ციტრონელოლის რაოდენობაზე Ni/გუმ. კატალიზატორზე. ცდის ხანგრძლივობა 2 სთ. ციტრონელალის კონც. იზოპროპანოლში 0,8 მმოლ/ლ, თანაკატალიზატორი 10 მმოლი/გ. კატ. აქტიური ფაზის მიმართ.

საინტერესო იყო ტემპერატურის გავლენა რეაქციის მიმდინარეობაზე. როგორც ნახ. 1-დან ჩანს, ტემპერატურის აწევით 50-დან 80⁰-მდე ციტრონელოლის რაოდენობა 22,5-დან 45,0%-მდე მატულობს, უმნიშვნელოდ მცირდება 90⁰-ზე, ხოლო ტემპერატურის შემდგომი მომატება საგრძნობლად ამცირებს ციტრონელოლის რაოდენობას, მიუხედავად იმისა, რომ ციტრონელალის გარდაქმნის ხარისხი იზრდება.

საქართველოს მეცნ. აკად. პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

შემოსულია 17.10.1991 წ.

ГИДРИРОВАНИЕ ЦИТРОНЕЛЛАЛЯ В ЦИТРОНЕЛЛОЛ НА НАНЕСЕННЫХ КАТАЛИЗАТОРАХ

Резюме

Исследовано влияние природы металла (Pt, Pd, Ni, Cr, Cu), носителя (природные алюмосиликаты Грузии — гумбрин, асканглина, диатомит и клиноптилолит), растворителя (этанол, пропанол, бутанол, пентанол, изо-пропанол и изо-бутанол) и сокатализаторов (Na_2CO_3 , K_2CO_3 , NaCl , KOH , $\text{C}_2\text{H}_5\text{ONa}$), а также условий проведения реакции (температура, продолжительность опыта) на процесс гидрирования цитронеллала в цитронеллол.

Установлено, что из изученных катализаторов наиболее активным оказался Ni/гумбрин, а оптимальным растворителем изо-пропанол.

Внесение сокатализатора в количестве 10 ммоль/г активной фазы катализатора значительно увеличивает скорость реакции гидрирования и выход целевого продукта.

Найдено, что в оптимальных условиях (температура реакции 80°C , продолжительность опыта 2 часа на катализаторе Ni/гумб. в изо-пропанол в присутствии $\text{C}_2\text{H}_5\text{ONa}$) содержание катализата следующее: цитронеллал — 36,2%, цитронеллол — 52,8%, 3,7-диметилгептанол — 5,0% и 3,7-диметилгептанол — 6,0%.

G. O. CHIVADZE, V. G. CHIVADZE, Ts. I. NASKIDASHVILI

HYDRATION OF CITRONELLAL INTO CITRONELLOL ON THE APPLIED CATALYSTS

Summary

The effect of a nature of metal (Pt, Pd, Ni, Cr, Cu), the supporter (natural aluminosilicates from Georgia — gumbrine, ascan clay, diatomite and clinoptilolite), the solvent (ethanol, propanol, butanol, pentanol, isopropanol and iso-butanol) and co-catalysts (Na_2CO_3 , K_2CO_3 , NaCl , KOH , $\text{C}_2\text{H}_5\text{ONa}$), and also the conditions of the reaction (temperature, experiment period) on the process of citronellal hydration into citronellol were investigated.

Citronellal hydration was carried on in thermostative, glass reactor at the atmospheric pressure.

It was established that among the studied catalyst Ni/gumbrine turned out to be the most active. The optimal solvent was isopropanol.

Introduction of the co-catalyst in the quantity of 10 mmol/g active phase of the catalyst significantly increases the reaction rate of hydration and the yield of the aim product.

In optimal conditions (the temperature of the reaction is 80°C , experiment period 2 h on Ni/gumbrine catalyst in isopropanol in the presence of $\text{C}_2\text{H}_5\text{ONa}$) the content of the catalyst is the following: citronellal — 36.3 %, citronellol — 52.8 %, 3,7-dimethyloctanol — 5.0% and 3,7-dimethyloctanol — 6.0%.

1. Арешидзе Х. И., Сокольский Д. В., Чивадзе Г. О. Авт. свид. СССР № 189395, Бюлл., изобр., 1966, 24.
2. Арешидзе Х. И., Чивадзе Г. О., Балахишвили Л. И., Сообщ. АН Грузии, 1972, 68, 73.
3. Pat. DDR № 29544, 1964. G. Lucius. Verfahren zur Herstellung von Terpenalkoholen aus vietnamesischen Citronellol.
4. Фрумкин А. Н., Козаринов В. Е., Тысячная Г. Я. ДАН СССР, 1971, 198, 145.
5. Сокольский Д. В., Закумбаева Г. Д., Попова Н. М., Сокольская А. М., Жубанов К. А. Катализаторы гидrogenизации. Алма-Ата: Наука, 1975.
6. Пак А. М., Сокольский Д. В., Конуспаев С. Р., Прыхлик Я. ДАН СССР, 1982, 265, 126.
7. Хоанг Куанг Винь, Хо ши Тхоанг, Чивадзе Г. О. Изв. АН Грузии, 1990, 16, 4, 287.

ფიზიკური ქიმია

უკ. 665.656.6;537.312.62.

კ. თოხაძე, ნ. მახარაძე, მ. ზურაბი, ზ. ლლონტი, შ. სილაგონია

ციკლოპექსანის და ნ-პარაფინების კატალიზური პრომატიზაცია

$YBa_2Cu_3O_{7-x}$ ტიპის მებალოქსიდურ კერამიკაზე

უკანასკნელ პერიოდში ფართო ხასიათი მიიღო ახალი ტიპის ნაერთების — მალალტემპერატურული ზეგამტარების კვლევა. დიდ ინტერესს იწვევს ამ ნივთიერებების კატალიზური თვისებების შესწავლა, რადგან ამ საკითხისადმი მხოლოდ რამდენიმე ნაშრომა მიძღვნილი [1—5].

ჩვენს მიერ შესწავლილია $YBa_2Cu_3O_{7-x}$ შედგენილობის მებალოქსიდური კერამიკის აქტივობა კატალიზური რიფორმინგის პროცესებში, კერძოდ, ციკლოპექსანისა და C_5C_8 ნ-პარაფინების კატალიზური პრომატიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის რეაქტივები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, დიდ ინტერესს იწვევს ამ პროცესების ალტერნატიული კატალიზატორების ძიება, რომლებმაც უნდა შეცვალონ ძვირადღირებული საწარმოო პლატინაშემცველი სისტემები.

მებალოქსიდური კატალიზატორის მისაღებად Y_2O_3 , $BaCO_3$ და CuO წვრილდისპერსიული ფხენილების ერთგვაროვან ნარეგს ვახურებდით 950° -ზე 3 სთ-ის განმავლობაში ჰაერის ატმოსფეროში. მიღებულ მასას ვაფხვიერებდით აგატის როდინში და კვლავ ვახურებდით. ამ პროცედურების რამდენჯერმე გამეორების შემდეგ ნიმუშს ვაცივებდით $0,4^\circ/წთ$ სიჩქარით ოთახის ტემპერატურამდე, რის შედეგადაც მიიღებოდა არასტექიომეტრული შედგენილობის ორთორომბული სიმეტრიის მესრის მქონე კრისტალური ნივთიერება, რომელიც თხევადი აზოტის ტემპერატურაზე ავლენდა ზეგამტარულ თვისებებს.

კვლევების ჩასატარებლად შერჩეული იყო იმპულსური კატალიზური მე-თოდის ქრომატოგრაფიული ვარიანტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ექსპერიმენტის წარმართვა საწყისი ნივთიერებების მცირე ხარჯით და პროცესების კინეტიკური მახასიათებლების არასტაციონალურ პირობებში შესწავლა. რეაქტორის შუა ნაწილში ვთავსებდით 0,3 გ კატალიზატორს მარცვლოვანი ზომით 0,335—0,63 მმ, რომლის ორივე მხარეს ვავსებდით იმავე ზომის დის-პერგრებული კვარცი. კატალიზატორის რეგენერაციას ვახდენდით 500° -ზე ჰელიუმის არეში 2 სთ-ის განმავლობაში.


რეაქციის პროდუქტების ანალიზს ვატარებდით „Varian“ ტიპის ქრომატოგრაფზე (მოდელი „3700“), დეტექტორი-კატარომეტრი. ქრომატოგრაფიულ სექტში (სიგრძე 2 მ, დიამეტრი — 0,002 მ) ჩატვირთული იყო რეზოსორბზე დაფენილი 15% კარბოკაქსი 20 მ.

სპეციალური კვლევებით დადგენილი იყო, რომ 700 — 750° -მდე ცარიელ კლარცის რეაქტორში საწყისი პროდუქტების გარდაქმნა არ მიმდინარეობდა.

$Y-Ba-Cu-O$ კერამიკულმა სისტემამ ნახშირწყალბადების გარდაქმნის პროცესში გარკვეული კატალიზური აქტივობა გამოამჟღავნა. კერძოდ, 650° -ზე ციკლოპექსანის კონვერსია შეადგენს 48%, ნ-პენტანის — 70%, ნ-ჰექსანის — 40%, ნ-ჰეპტანის 73%, ხოლო ნ-ოქტანისა — 8%. კვლევის ტემპერატურული

ინტერვალი შეადგენდა 350—650°. ამ პირობებში ნახშირწყალბადების გარდაქმნის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენენ: 1) არომატიზაცია ბენზოლამდე და C₈—C₉ არომატულ ნახშირწყალბადებამდე, 2) კრეკინგი C₁—C₅ ნახშირწყალბადების წარმოქმნით და 3) გამკვრივების პროდუქტების წარმოქმნა კატალიზატორის ზედაპირზე.

ციკლოპექსანის კატალიზური გარდაქმნის დროს მიღებული შედეგები მოცემულია ნახ. 1. როგორც ვხედავთ, შესწავლილი კატალიზატორი ციკლოპექსანის არომატიზაციის რეაქციაში დაბალი აქტივობით ხასიათდება. რეაქცია იწყება მაღალ ტემპერატურაზე (500—550°), ხოლო არენების გამოსავალი მცირეა. კერძოდ, 650°-ზე ბენზოლის გამოსავალია 8%, ხოლო C₈—C₉ ნახშირწყალბადების — 15%.



ნახ. 1. Y-Ba-Cu-O კატალიზატორზე ციკლოპექსანის გარდაქმნის ტემპერატურული დამოკიდებულება (V=12 მლ/წთ, G=0,3 გ).

1. კრეკინგის პროდუქტები; 2. ბენზოლი; 3. არომატული ნახშირწყალბადები; 4. გამკვრივების პროდუქტები; 5. ციკლოპექსანი.

ციკლოპექსანის კრეკინგის პროდუქტების (C₁—C₅ ნახშირწყალბადების) წარმოქმნა იწყება 450°. ქრომატოგრაფირების პირობები არ გვაძლევდა მათი იდენტიფიცირების საშუალებას, რის გამოც ვიღებდით C₁—C₅ ნაერთების საერთო ქრომატოგრაფიულ პიკს. მათი გამოსავალი ტემპერატურის ზრდასთან ერთად მატულობდა და 650°-ზე აღწევდა 20%-ს.

ციკლოპექსანის გარდაქმნის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა კატალიზატორის ზედაპირზე გამკვრივების პროდუქტების წარმოქმნა, რომელთა გამოსავალს ვითვლიდით რეაქციის მატერიალური ბალანსის დეფიციტის მიხედვით. როგორც ვხედავთ, გამკვრივების პროდუქტების გამოსავალი 550° აღწევს მაქსიმუმს (32%), ხოლო ტემპერატურის შემდგომი ზრდისას მცირდება, რაც შესაძლოა მიუთითებს მათ ნაწილობრივ გარდაქმნაზე არომატულ ნახშირწყალბადებად.


კატალიზური გარდაქმნის კონტაქტის დროზე დამოკიდებულების შესწავლით დადგინდა, რომ ციკლოპექსანის გარდაქმნის პროდუქტების მაქსიმალური გამოსავალი მიიღწევა აირ-მატარებლის 10—13 მლ/წთ სიჩქარის დროს. კონტაქტის დროის შემცირებამ არ მოგვცა ციკლოპექსანის გარდაქმნის რომელიმე შუალედური პროდუქტის იდენტიფიკაციის საშუალება.

ნ-პარაფინების კერამიკულ სისტემაზე გარდაქმნის შესწავლამ აჩვენა, რომ მათი კატალიზატორი პრაქტიკულად იმავე პროდუქტებს შეიცავს, რასაც ციკ-

ლოქქსანის კატალიზატი იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში ადგილზე აქვს ტოლუოლის წარმოქმნასაც. ნ-პარაფინებში ნახშირბადის ატომების რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება მათი კონვერსიის ხარისხი. 650°-ზე ჰექსანის, ჰეპტანის და ოქტანისათვის იგი შესაბამისად 40, 73 და 79%-ის ტოლია.

ნახშირწყალბადებიდან მაქსიმალურ არომატიზაციას განიცდის პენტანი (ნახ. 2). არენების წარმოქმნა ამ შემთხვევაში იწყება 500°-ზე. C₈—C₉ არომატული ნახშირწყალბადების გამოსავალი 650° აღწევს 20%, ხოლო ბენზოლისა და ტოლუოლის რაოდენობა კატალიზატში იგივე ტემპერატურაზე 1—20%-ს არ აღემატება.

ჰექსანის არომატიზაცია (ნახ. 3) იწყება 600°-ზე და არომატიზაციის პროდუქტების ჯამური გამოსავალი 650°-ზე მხოლოდ 8%-ს შეადგენს. ჰეპტანის გარდაქმნის დროს არომატული პროდუქტების, კერძოდ C₈—C₉ ნახშირწყალბადების წარმოქმნას ადგილი აქვს 600°-ზე. 650°-ზე მათი ჯამური გამოსავალი 5%, ხოლო ბენზოლის და ტოლუოლისა — 2%-ს შეადგენს. ოქტანის არომატიზაციის დროს 650°-ზე არენების ჯამური გამოსავალი 3,5%-ს არ აღემატება.



ნახ. 2. Y-Ba-Cu-O კატალიზატორზე პენტანის გარდაქმნის ტემპერატურული დამოკიდებულება (V=6მლ/წთ, G=0,3 გ).


1. ბენზოლი; 2. C₈—C₉ არომატული ნახშირწყალბადები; 3. ტოლუოლი;
4. პენტანის და კრეკინგის პროდუქტების ჯამური გამოსავალი;
5. გამკვრივების პროდუქტები.

ნ-პარაფინების კონვერსიის კატალიზატორთან კონტაქტის დროსთან დამოკიდებულების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ C₅, C₇ და C₈ ნახშირწყალბადების მაქსიმალური არომატიზაცია ხდება აირ-მატარებლის 6 მლ/წთ სიჩქარის დროს და არენების გამოსავალი შესაბამისად 20,8 და 3,5%-ს შეადგენს. ჰექსანის შემთხვევაში არომატიზაციის პროდუქტების მაქსიმალური გამოსავალი მიიღწევა 10—12 მლ/წთ სიჩქარის დროს და შეადგენს 5%-ს.

არომატული ნახშირწყალბადების ჯამური გამოსავლის დამოკიდებულება პარაფინების ნახშირბადოვანი ჯაჭვის სიგრძეზე მოცემულია 4 ნახ. ყველა ნახშირწყალბადების არომატიზაციის ხარისხი დაახლოებით ერთნაირია, რაც შესაძლოა მიუთითებდეს ნახშირწყალბადების არომატიზაციის მექანიზმის იდენტურობაზე.

კრეკინგის პროდუქტების წარმოქმნა ოთხივე ნ-პარაფინის გარდაქმნისას იწყება 500°-ზე, ხოლო 650°-ზე ჰექსანის, ჰეპტანის და ოქტანის შემთხვევაში შესაბამისად შეადგენს 30, 35 და 38%.


გამკვრივების პროდუქტების რაოდენობა პენტანის გარდაქმნისას შექსანის ტემპერატურულ ინტერვალში 60-დან 30%-მდე მცირდება. ჰექსანის გარდაქმნისას მათი გამოსავალი თითქმის თანაბარია და 2-3%-ს შეადგენს. ჰექსანის შემთხვევაში 500°-ზე გამკვრივების პროდუქტების რაოდენობა კატალიზატორში 33%-ს შეადგენს, 550°-ზე 27%-ს, ხოლო 650°-ზე კი ისევ 33%-მდე იზრდება. ოქტანის გარდაქმნის შემთხვევაშიც გამკვრივების პროდუქტების გამოსავლის მრუდს ექსტრემალური ფორმა აქვს.



ნახ. 3. Y-Ba-Cu-O კატალიზატორზე ჰექსანის გარდაქმნის ტემპერატურული დამოკიდებულება ($V=12$ მლ/წთ, $G=0,3$ გ).



1. კრეკინგის პროდუქტები; 2. ბენზოლი; 3. ტოლუოლი;
4. C_8-C_9 არომატული ნაზშირწყალბადები; 5. ჰექსანი;
6. გამკვრივების პროდუქტები.

არომატიზაციის პროცესის ერთ-ერთ შესაძლო მექანიზმს საფეხურებრივი დეჰიდრირება წარმოადგენს. კვლევაში აჩვენა, რომ ჩვენს მიერ განხილულ კატალიზატორზე გარდაქმნის ასეთი მიმართულებით წარმართვა ნაკლებად სავა-



ნახ. 4. არომატული ნაზშირწყალბადების გამოსავლიანობა საწყისი ნ-პარაფინის ნაზშირბალოვანი ჯაჭვის სიგრძეზე დამოკიდებულებით (კატალიზატორი Y-Ba-Cu-O. $G=0,3$ გ, $t=650$, $V=12$ მლ/წთ)

რაუდოა, გარდაქმნის მექანიზმის შესწავლის მიზნით ვცვლიდით აირ-მატარებლის სიჩქარეს, რომელიც უკუპროპორციულია კატალიზატორის ზედაპირთან აღებული ნივთიერების კონტაქტის დროის. ხანმოკლე კონტაქტის შემთხვევაში ციკლოჰექსანმა ვერ უნდა მოასწროს ბოლომდე დეჰიდრირება

ბენზოლამდე და მივიღებთ  ან . ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებით ამ ნივთიერებების იდენტიფიკაცია არ მოხერხდა, რაც მიუთითებს მოცემულ კერამიკულ სისტემაზე საფეხურებრივი დეჰიდრირების პროცესის განხორციელების ნაკლებ ალბათობას.


ციკლოპექსანის არომატიზაციის ერთ-ერთი მიმართულება შესაძლოა ყოფილიყო მისი შუალედური დეჰიდრონიზომერიზაციის ეტაპი მეთილციკლოპენტანის წარმოქმნით. არც ეს ნივთიერება აღმოჩნდა კატალიზატში, თუმცა ქრომატოგრაფიული ფაზა იძლეოდა მისი იდენტიფიკაციის საშუალებას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ მექანიზმით ციკლოპექსანის არომატიზაცია მოცემულ სისტემაზე ნაკლებად სავარაუდოა. დეჰიდრირების რეაქციები უპირატესად მიმდინარეობს მყავურ ცენტრებზე.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ გარდა ზემოვანხილული ორი მიმართულებისა შესაძლებელია განხორციელდეს არომატიზაციის მესამე გზა — ე. წ. „დეისტრუქციული“ მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საწყისი ნახშირწყალბადების დაწყვეტას ძლიერ უჯერ მსუბუქ ფრაგმენტებად, როგორებიცაა მეთილაცეტილენი, ბუტინი, პროპადიენი, ბუტადიენი და ა. შ. და შემდგომ „აწყობას“, არომატული მოლეკულის წარმოქმნით.

მიღებული მონაცემების საფუძველზე ნავარაუდევია, რომ ციკლოპექსანის და ნ. პარაფინების გარდაქმნისას არომატიზაციის პროდუქტების ჯამური გამოსავალი თითქმის ერთნაირია. რაც შესაძლოა იმაზე მეტყველებს, რომ მათი არომატიზაციის მექანიზმი იდენტურია.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ არომატიზაცია ძირითადად დეჰიდროციკლიზაციის მიმართულებით ხორციელდება. თუ ეს ასეა, მაშინ C_6H_{12} -დან უპირატესად უნდა მიგვეღო ბენზოლი, C_7H_{16} -დან — ტოლუოლი, C_8H_{14} -დან ეთილბენზოლი ან ქსილოლები. მაგრამ ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ $C_6-C_7-C_8$ ნახშირწყალბადების გარდაქმნით მიღებული არომატული ნივთიერებების შედგენილობა თითქმის ერთნაირია. ამავე დროს კლასიკური კატალიზატორებისაგან განსხვავებით მოცემულმა კერამიკულმა სისტემამ სპეციფიკური თვისება გამოამჟღავნა პენტანის არომატიზაციის მიმართ. პენტანი პრაქტიკულად არ უნდა განიცდიდეს არომატიზაციას ბენზოლის, ტოლუოლის, C_8-C_9 ნახშირწყალბადების წარმოქმნით, თუ არ გავითვალისწინებთ ამ პროცესის მესამე შესაძლო ვარიანტს, — „დეისტრუქციული“ მიმართულებას. პენტანის არომატიზაციის შესახებ ლიტერატურაში ცნობები თითქმის არ მოიპოვება.

ამ ფაქტებიდან ვამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არომატიზაციის პროცესი $Y-Ba-Cu-O$ კატალიზატორზე ხორციელდება სწორედ „დეისტრუქციული“ გზით, რომელიც მიმდინარეობს საწყისი ნახშირწყალბადების მოლეკულების გახლეჩით ძლიერ უჯერ ფრაგმენტებად და მათი შემდგომი „ასოციაციით“. ამ მოსაზრების შესაძლო დადასტურებას წარმოადგენს კერამიკული სისტემის მაღალი კრეკინგის უნარიანობა.



ნ-პარაფინები

ზეგამტარული სისტემების პირველად ჩატარებულმა კვლევამ მოდელურ რეაქციაში ციკლური პარაფინული ნახშირწყალბადების არომატიზაციაში ატმოსფერულ წნევაზე გამოავლინა ამ ნაერთთა გარკვეული კატალიზური თვისებები.



პირველად ნაპოვნია ზეგამტარული სისტემის თვისება მოახდინოს ისეთი ნახშირწყალბადის არომატიზაცია, რომელიც 6-ზე ნაკლებ ნახშირბადის ატომს შეიცავს მოლეკულაში (კერძოდ პენტანი).

დადგენილია, რომ ნ-პარაფინის მოლეკულების ნახშირბადოვანი ჯაჭვის სიგრძის მიუხედავად არომატიზაციის ხარისხი პრაქტიკულად იდენტურია.

გამოთქმულია მოსაზრება ნახშირწყალბადების არომატიზაციის მექანიზმის შესახებ.

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

შემოსულია 25.12.1991.

K. G. TOHADZE, N. G. MAKHARADZE, M. Z. CHURADZE, G. O. GLONTI,
SH. I. SIDAMONIDZE

**КАТАЛИТИЧЕСКАЯ АРОМАТИЗАЦИЯ ЦИКЛОГЕКСАНА И
Н-ПАРАФИНОВ НА МЕТАЛЛОКСИДНОЙ КЕРАМИКЕ
ТИПА Y-Ba-Cu-O**

Резюме

Впервые проведено исследование каталитических свойств керамической системы Y-Ba-Cu-O, проявляющей сверхпроводящие свойства при T=93 K, в модельной реакции ароматизации углеводородов.

Полученные экспериментальные данные позволили высказать предположение о механизме реакции.

K. G. TOKHADZE, N. G. MAKHARADZE, M. Z. CHURADZE,
G. O. GLONTI, Sh. I. SIDAMONIDZE

**THE CATALYTIC AROMATIZATION OF CYCLOHEXANE AND
n-PARAFFINES ON Y-Ba-Cu-O TYPE CERAMIC SYSTEM**

Summary

The catalytic properties of Y-Ba-Cu-O ceramic system, superconducting at 93 K, in model reaction of aromatization of hydrocarbons were investigated.

The received data allowed to suggest a mechanism of the reaction.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Заботни Л. И., Левинтер М. Е., Нефтехимия, 1972, 12, 1, 9—13.
2. Власов В. Г., Фомичев Ю. В., Казанский Б. А., Нефтехимия, 1971, 2, 4, 510—516.
3. Усов Ю. И., Зубанова М. Г., Кувшинова Н. И., Нефтехимия, 1975, 15, 6, 842—847.
4. Розенгарт М. И., Казанский Б. А., Успехи химии, 1971, 40, 9, 1537—1567.
5. Фомичев Ю. В., Гостунская И. В., Казанский Б. А., ДАН СССР, 1968, 180, 2, 383—385.

ТЕХНОЛОГИЯ

УДК 655.637.2; 658.2

Г. О. ПОЦХВЕРАШВИЛИ, М. К. АНДГУЛАДЗЕ, З. И. СЮНЯЕВ,
 Л. П. ГИЛЯЗЕТДИНОВ, О. Ф. ГЛАГОЛЕВА, Т. С. ШАКАРАШВИЛИ

**АКТИВИРУЮЩАЯ ДОБАВКА ДЛЯ АТМОСФЕРНОЙ
 ПЕРЕГОНКИ НЕФТИ**

Нефть и тяжелые нефтяные фракции относятся к ассоциированным жидкостям.

Широкий диапазон изменения свойств углеводородов и других соединений, содержащихся в нефти, особенно связанных с параметрами межмолекулярного взаимодействия, обуславливает образование ассоциатов молекул различной величины [1]. Термодинамика этого процесса такова, что в центре ассоциатов концентрируются высокомолекулярные и высокоэнергетические молекулы. При пониженных и умеренных температурах нефть и тяжелые нефтяные фракции представляют собой коллоидные системы, дисперсная фаза которых представлена такими надмолекулярными образованиями, которые часто называются сложными структурными единицами (ССЕ). Ядром частиц дисперсной фазы являются молекулы асфальтенов, твердых парафинов и смолистых веществ. Сольватный слой состоит из молекул смолистых веществ, из ароматических углеводородов, сернистых соединений. В состав сольватной оболочки вовлекаются также молекулы низкомолекулярных компонентов, которые оказываются иммобилизованными. Из-за этого выход их в паровую фазу затруднен и требует повышения температуры перегонки больше, чем этого требует закон Рауля.

В ряде работ [2, 3] показано, что добавление в нефть небольшого количества ароматических углеводородов, поверхностно-активных веществ, кислородсодержащих и гетероциклических соединений приводит к перестройке сольватной оболочки ССЕ и высвобождению молекул низкокипящих компонентов в дисперсную среду. В результате этого выход топливных легких фракций нефти увеличивается на 2—5%-ов. Эффективными добавками являются спирты и другие кислородсодержащие соединения [2, 3]. В настоящей работе изучалась возможность применения в качестве активирующих добавок головной фракции коньячного производства и сивушных масел спиртового завода, характеризующихся высокими содержаниями спиртов, альдегидов, кетонов и других кислородсодержащих соединений.

Таблица 1

Физико-химические свойства компонентов присадки

Наименование показателей	Сивушные масла	Головная фракция коньячного производства
Температура кипения, °С	81—105	75—79
Плотность при 20°, кг/м ³	690	610
Содержание, %:		
этиловый спирт	16,1	22,5
жирные спирты	60,5	53,6
альдегиды	17,0	14,4
кетоны	1,7	6,0
Неидентифицированные компоненты	4,7	3,5

Объектом исследования были грузинская и ливийская нефти. Образцы головной фракции коньячного производства и сивушных масел спиртового завода. Физико-химическая характеристика использованных добавок приведена в таблице 1.

Из данных таблицы 1 видно, что эти добавки содержат спирты, альдегиды, кетоны, сивушные масла и неидентифицированные кислородсодержащие соединения. Анализ проб, взятых на заводе в разное время, показал практически постоянный состав. Физико-химическая характеристика исследуемых нефтей приведена в таблице 2.

Таблица 2
Физико-химическая характеристика исследуемых нефтей

Наименование показателей	Грузинская нефть	Ливийская нефть
Молекулярная масса, М	237	211
Плотность при 20°, ρ_4^{20} , кг/м ³	835	817,3
Вязкость, ν 20, с Ст	6,13	1,56
ν 50, с Ст	2,5	1,15
Температура застывания, °С	-1	+6
Температура вспышки в открытом тигле, °С	24	—
Кислотность, мг КОН/г нефти	0,09	0,025
Содержание, %:		
парафиновые углеводороды	8,7	6,0
сера	0,13	0,3
азот	0,054	—
асфальтены	0,65	0,45
коксовость	1,65	1,32
Фракционный состав:		
до 200°	30	46
до 370°	29	23
мазут	32,38	25,6
смола	8,62	5,4

Обе нефти парафинистые. Ливийская нефть относится к легким нефтям. Смеси грузинской и ливийской нефтей (в различных соотношениях) перерабатываются на Батумском нефтеперерабатывающем заводе.

Влияние активирующих добавок на процесс разгонки нефти изучали на стандартном приборе — лабораторной ректификационной




Рис. 1. Кривые суммарного выхода светлых фракций исходных нефтей и с добавками активирующих соединений: 1—исходная нефть; 2—сивушные масла (0,02%); 3—головная фракция коньячного производства (0,02%); 4 — смесь головной фракции коньячного производства и сивушных масел спиртового производства (по 0,01% каждого)



колонне АРН-2. Режим разгонки был следующий: количество нефти 3 л, остаточное давление 2—3 мм рт. ст., температура НК — 120—376

Предварительными опытами было установлено, что обе добавки активируют процесс разгонки нефти при их содержании в нефти в пределах 0,01—0,05% (масс). Оптимальная концентрация добавок зависит от природы добавки; при концентрациях выше 0,1% происходит дезактивация процесса перегонки. Опыты показали, что для каждой конкретной нефти требуется экспериментальное определение этой концентрации.

